

SARCASM CONCEALED WITH HUMOR – AS A WEAPON FOR CRICISING
TOTALIAN REGIME IN FICTION

იუმორით შენიღბული სარკაზმი - როგორც ტოტალიტარული რეჟიმის კრიტიკის
იარაღი მხატვრულ ლიტერატურაში

Giorgi Khorbaladze

PhD in Philology, Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., #53, 1400, Georgia,
+ 995577955584, g.khorbaladze@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0003-0453-8521>

Abstract. When the issue concerns the study of Nodar Dumbadze's work, we can say that researchers can focus their attention on many issues in this very interesting work; We think that a completely exhaustive research is not possible within the framework of a single review or essay, even a monograph. This process is similar to traveling in the mountains: you see the highest point, you move towards it, and as soon as you reach the goal, a new highest point appears in sight, therefore, the path of your path is also there, but you climb, and from there again a new peak rises. That's right, the world of Nodar Dumbadze, the more carefully you read, the more you research, the more new research problems appear, the more issues are highlighted and crystallized in the layers of current or previously conducted research. We investigate different issues in the writer's work, we try to consider this incomparable literary treasure in several interesting directions, and in this particular article, the subject of research is the part of Nodar Dumbadze's work, which belongs to the humorous cycle, and at first glance, its purpose is only a kind of anecdotal humor, the purpose of which is , it seems, is only for the entertainment and enjoyment of the reader, but if we dig deeper, the hidden pathos of this type of works can be interestingly revealed on the surface. When studying the cycle of short stories, it is natural to take into account the contemporary era of the writer and the challenges characteristic of the era. Thus, we tried to look at the mentioned works in a new way and read out interesting subtexts in the sarcasm or comedy skillfully covered by the writer.

Key words: Nodar Dumbadze, Sarcasm, Humor, Literature, Totalitarian regime, Novel.

გიორგი ხორბალაძე

ფილოლოგიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. #53, 1400, საქართველო,
+ 995577955584, g.khorbaladze@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0003-0453-8521>

აბსტრაქტი. როდესაც საკითხი ნოდარ დუმბაძის შემოქმედების კვლევას ეხება, დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამ ძალზედ საინტერესო შემოქმედებაში უამრავი საკითხის ირგვლივ შეიძლება კონცენტრირდეს მკვლევართა ყურადღება; სრულიად ამომწურავი კვლევა არა თუ ერთი რეცენზიის ან ნარკვევის, ვფიქრობთ, მონოგრაფიის ფარგლებშიც კი შეუძლებელია. ეს პროცესი მთებში მოგზაურობას წააგავს: ხედავ უმაღლეს წერტილს, მიიწევ მისკენ და როგორც კი მიზნამდე მიდიხარ, ახალი უმაღლესი წერტილი ჩნდება თვალსაწიერში, შესაბამისად, შენი გზის ფირნიშიც იქ გეგულება, მაგრამ ადიხარ და იქიდანაც კვლავ ახალი მწვერვალი ამოიზრდება. სწორედ ასეა, ნოდარ დუმბაძის სამყაროც, რაც უფრო ყურადღებით კითხულობ, რაც უფრო მეტს იკვლევ, ახალი საკვლევი პრობლემაც მეტად იჩენს თავს, კიდევ უფრო მეტი საკითხი ამოიკვეთება და ამოკრისტალდება მიმდინარე თუ ადრე განხორციელებულ კვლევათა შრეებში. ჩვენ სხვა და სხვა საკითხის ვიკვლევთ მწერლის შემოქმედებაში, ვცდილობთ რამდენიმე საინტერესო მიმართულებით განვიხილოთ ეს შეუდარებელი ლიტერატურული საგანძური, ამ კონკრეტულ სტატიაში კი, კვლევის საგანს ნოდარ დუმბაძის შემოქმედების ის ნაწილი წარმოადგენს, რომელიც იუმორისტულ ციკლს განეკუთვნება და ერთი შეხედვით, მისი დანიშნულებაც მხოლოდ ერთგვარი ანეგდოტური იუმორია, რომლის მიზანიც, თითქოს, მკითხველის გართობა და გახალისებაა მარტოოდენ, მაგრამ, თუ ჩავუღრმავდებით, ამ ტიპის ნაწარმოებების დაფარული პათოსი ერთობ საინტერესოდ შეიძლება ამოიკვეთოს ზედაპირზე. მოთხრობათა ციკლის შესწავლისას, ბუნებრივია, გათვალისწინებული უნდა იყოს მწერლის თანამედროვე ეპოქა და ეპოქისთვის დამახასიათებელი გამოწვევები. ამდენად, შევეცადეთ ახლებურად შეგვეხედა აღნიშნული ნაწარმოებებისათვის და მწერლის მიერ ოსტატურად დაფარული სარკაზმში თუ კომიზმში, საინტერესო ქვეტექსტები ამოვიკითხოთ.

საკვანძო სიტყვები: ნოდარ დუმბაძე, სარკაზმი, იუმორი, ლიტერატურა, ტოტალიტარული რეჟიმი, მოთხრობა.

შესავალი. როგორც ცნობილია, ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან იბეჭდებოდა იმდროინდელ პრესაში, სწორედ 1956-1957 წლებში ჟურნალ „ნიანგის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა მწერლის იუმორისტული მოთხრობის სამი წიგნი – „ყურადღება, ვიწყებთ ვარჯიშს“, „გაუმარჯოს გიგილოს“ და „გლადიატორი“. შესაბამისად, მწერალი, თავდაპირველად, სამწერლო ასპარეზზე იუმორისტული ციკლის მოთხრობებით შემოვიდა და პირველი წარმატებაც სწორედ ამ ჟანრის ნაწარმოებებით მოიპოვა; და რადგან, მის შემოქმედების სხვათა შემოქმედებისგან ყველაზე დიდი განმასხვავებელი თვისება სწორედამ რომ საოცარი იუმორია, ბუნებრივია, ჩვენ არავითარ შემთხვევაში შევეუბნებოდით და გვერდს არ ავუვლიდით მისი იუმორის სერიოზულობის კვლევის სირთულეს და შევეცადეთ ამ კუთხითაც შეგვესწავლა მწერლის შემოქმედება და ჩვენი აზრით, სამართლიანად დავასკვნით, რომ იუმორს

მიღმა არაერთ უაღრესად სერიოზულ საკითხზეა შესაძლებელი ყურადღების გამახვილება, რომლებიც, არსებითად მწერლის თანამედროვე ეპოქაში გავრცელებული სისტემური თუ მენტალური პრობლემებისა და არსებული რეჟიმის მანკიერი ნიუანსების მხილებას წარმოადგენს ძირითად შემთხვევებში. როგორც გურამ ასათიანი იხსენებს, ერთხელ, პირად საუბარში უთქვამს მისთვის ნოდარ დუმბაძეს: „მე თავისუფლება მინდოდა და სიცილი იმისთვის ავირჩიეო“. თავად გურამ ასათიანი კი ასე აფასებდა ამ ამბავს: „სიცილი ნოდარ დუმბაძისთვის თვითდამკვიდრების ისეთივე ფორმაა, როგორც მხედართმთავრისათვის ომი ან ჩიტისთვის ფრენა“. (ასათიანი, 1960: 10) ნოდარ დუმბაძისთვის სიცილი არ ყოფილა გართობის ან დაცინვის საშუალება, იგი სრული სერიოზულობით ეკიდებოდა იუმორისტულ ჟანრს, სრულად ჰქონდა გააზრებული მისი დანიშნულება. მწერლის იუმორისტული ჟანრის მოთხრობები, თავისი შინაარსით ვერასდროს იქნებოდა ისეთი პოპულარული, თუ მასში ავტორი არ წარმოადგენდა რეალისტურ სახეებსა და სიტუაციებს.

პარტიულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე აქტიურად მდგარი ცენზურა მკაცრად უკეტავდა გზას არსებული ხელისუფლებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ყოველგვარ გამოვლენას. მარწუხებში მოქცეულ მართალ სიტყვას ასპარეზი ჰქონდა დახშული, მწერალი ვალდებული (ამ სიტყვის სრული გაგებით) იყო მხოლოდ იდეალური ყოფა და იდეალური გმირები ეჩვენებინა, ამიტომ იმჟამინდელ სოციალ-პოლიტიკურ მანკიერებათა მხილება მხოლოდ იუმორის და სიცილის ნიღბით გენიალური გადაწყვეტილებაც იყო და რთულად შესასრულებელიც, რომელიც განსაკუთრებული ნიჭის გარეშე განუხორციელებელ იდეად ან შეუსრულებელ პროექტად დარჩებოდა, ზემოთ ჩვენს მიერ ციტირებული მწერლის სიტყვებიც უტყუარი დოკუმენტია იმისა, რომ ნოდარ დუმბაძემ მოახერხა და სრულიად გააზრებულად გადააქცია იუმორი შემოქმედებითი თავისუფლების მიღწევის ყველაზე ეფექტურ საშუალებად, ასახა რა იმჟამინდელი ყოფის მრავალი მანკიერება, გახადა ისინი მხილებისა და კრიტიკის საგანი, თანაც ეს ყოველივე ისე მოახერხა, რომ მოთხრობები კომუნისტური ცენზურისათვის მარტოდენ სამხიარულო მნიშვნელობის იუმორისტულ ჟანრად შეესაღებინა. ამ მოთხრობათა გამოქვეყნების დროს, როგორც აღვნიშნეთ, მწერალი სრულიად ახალგაზრდა გახლდათ ჯერ კიდევ და მსგავსი დაფარული პათოსი და შენიღბული კრიტიკაც კი, წარმოუდგენელ გამბედაობას საჭიროებდა ჭაბუკი ავტორისგან.

ჰრანტ თამრაზიანი, ნოდარ დუმბაძისადმი მიძღვნილ წერილში – „ნატკენი გულისა და მზენათელი სიზმრების წიგნი“ – წერს: „ნოდარ დუმბაძეს მშობლიურ ლიტერატურაში მოჰქონდა მდიდარი ცხოვრებისეული სიმართლე, სძლევდა ახლო წარსულის ლიტერატურულ სქემებს და დაბნეულობას.

... რა თქმა უნდა, იოლი არ იქნებოდა მისი სამწერლო გზა, – ყველგან და ყოველთვის გამოჩნდებიან ისეთი ადამიანები, – ...ზნეობრივი ბიწიერების სამზეოზე გამოტანასა და მხილებას, ან დუმილს, ანდა მიჩქმალვას ამჯობინებენ. ჩვენი ნალბანდიანი – გამოჩენილი პოეტი და მხურვალე პუბლიცისტი, ასეთ დუმილს ბრმა და მავნებლურ სიყვარულად თვლიდა...“. (თამრაზიანი, 1986: 69-70) ნოდარ დუმბაძე კი, როგორც ამავე წერილში ასკვნის თამრაზიანი – „ჯანსაღ სულზე ნაზიარები იუმორით დაუნდობლად ამათრახებს ნაკლსა და ბოროტებას“.

მეთოდები. სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია ინტერპრეტაციის, ტექსტის ანალიზის, კომპარატივისტული და შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდები.

შედეგები და მსჯელობა. გადავიდეთ უშუალოდ ტექსტების ანალიტიკურ განხილვაზე და ვნახოთ, რამდენად თავსდება ნოდარ დუმბაძის იუმორისტული

მოთხრობები საბჭოთა ეპოქის მწერლობისადმი წაყენებულ სავალდებულო მოთხოვნათა საზღვრებში, რამდენად არღვევს ამ მიმე ჩარჩოებს და ამ რჩევის შემდეგ აშარჟებს თუ არა მისი იუმორი, არსებული რეჟიმის პირმშო – მთელ რიგ პროცესებს. როგორც მწერლის კრებულთა უმრავლესობაშია წარმოდგენილი თანმიმდევრობა, ჩვენც ისე გავუყვით და გიგილოს მოთხრობათა ციკლით დავიწყით.

თუ ყურადღების გამახვილებით ჩავუღრმავდებით, მოთხრობის შესავალ ნაწილშივე ოსტატური იუმორის წიაღში მიზანმიმართული სარკაზმის აღმოჩენა არ გაგვიჭირდება: „ბავშთა სამყაროს“ შესასვლელს ასეთი წარწერა ამშვენებს: „ყველაფერი ბავშვებისთვის“, რომელიც შიგ შესვლამდე საოცრად კეთილშობილურად ჟღერს.

„ბავშთა სამყაროსი“ არ იყოს, ყველაფერი გვექონდა ბავშვისთვის, თუმცა ბავშვი არ გვყავდა“. (დუმბაძე, 2013: 5) პირველ რიგში ამ წინადადებით აქცენტირებულია, რომ ეს კონკრეტული მაღაზია (რომელიც, სახელწოდების მიხედვითაც და ალეგორიულადაც კონკრეტული „სამყაროა“, რაც სახელმწიფოს მიკრომოდელადაც უნდა იქნას აღქმული ამ ციტატის კონტექსტში), დგას ყალბ ლოზუნგზე, იგი ისეთივე სიცრუეა დაფუძნებული, როგორც ის წყობა, რომლის წიაღშიც ეს „სამყარო“ არსებობს, აქ, რომ ყველაფერი ხელმისაწვდომია – ისეთივე სიცრუეა, როგორც საბჭოეთის იდეალურობა. იუმორის ქარგაში სწორედ ამაზე რომ მიანიშნებს მწერალი, პირველ ყოვლისა, ციტირებული მონაკვეთის დასკვნაში ვლინდება, რადგან, შიგნიდან გარეთ განივრცობა პრობლემა და ესეც განგრძობადობაზე მიუთითებს ალეგორიულად, ანუ, მხოლოდ „ბავშვთა სამყაროს“ პრობლემა არ არის ნაჩვენები მოჩვენებითობა, – თავად მოთხრობლის ოჯახშიც იგივე გრძელდება. მაგრამ მთავარი ის არის, რომ იუმორისტულ მოთხრობათა მხოლოდ ამ ერთ პასაჟში არ აკეთებს მწერალი ანალოგიურ მინიშნებას: „ექიმი ადგა, რეცეპტები გამოწერა და ამაყად თქვა: „ – აქ მე ისეთი ექვსი თავი წამალი გამოვწერე, ვერსად ვერ იშოვით, ამიტომ პენიცილინი გავუკეთოთ“. (დუმბაძე, 2013: 143) ეს უკვე მოთხრობა „37.5“-ია, სადაც იგივე პრობლემა უკვე „ბავშვთა სამყაროში“ კი არა, მის მიღმა საბჭოთა სამყაროში იჩენს თავს. ამ ყველაფრის გარდა, ყურადღებას თავად ლოზუნგის გამარჯება ლოზუნგების ეპოქაში, რაც სოლიდური საფუძველია იმისა, რომ ნებისმიერი ლოზუნგი იმდაგვარივე სიყალბედ და ფუჭ სიტყვებად იქნას გააზრებული როგორც „ბავშვთა სამყაროს“ ლოზუნგის მაგალითი გვეკარნახობს.

კომუნიზმის იდეოლოგია, რომ – მის სივრცეში მხოლოდ ყველაფრით უზრუნველყოფილი, ბედნიერი ხალხი ცხოვრობს – დუმბაძის იუმორისტულ მოთხრობებში თავდაყირაა დაყენებული და ამდენად, ჩვენი დასკვნა, რომლის მიხედვითაც ერთი ლოზუნგის მაგალითი უტოლდება ყალბი ლოზუნგების გაბიაბრუებას, სრულიად ლოგიკურია. არა თუ აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ხალხი არ ჩანს ამ მოთხრობებში, არამედ, ნოდარ დუმბაძის პერსონაჟები, რომლებსაც მათი ამა თუ იმ პირთან იდენტიფიცირებამდე მსგავსების გამო, საკმაოზე მეტად ახლავთ რეალურ ადამიანებთან ასოცირების განცდა, ხშირად ელემენტარულ პირობებს არიან მოკლებულნი, რაც ზემოთ დამოწმებულ ციტატებშიც იკვეთება და კიდევ სხვა პასაჟებშიც, მაგალითად გავიხსენოთ შვილის დაბადების მომლოდინე კაცის დიალოგი „ბებია ქალთან“: „ – მაპატიეთ, ქალბატონო, ფული არ მაქვს და ჩემზე იყოს...“

– ფული თუ არა გაქვს, ძმაო, რას აჩენ ამ ბაღებს, არ გეცოდება? ხომ არ გგონია, მე გირჩენ შვილებს“. (დუმბაძე, 2013: 8) აქაც, მთავარი ის კი არ არის რომ პერსონაჟს ფული ამ კონკრეტულ მომენტში არ აქვს, მთავარი ის არის, რომ „ფულის ქონა“ და შესაბამისად „შვილების გაჩენის უფლებაც“, მხოლოდ მაშინ არის ხელმისაწვდომი თუ „უნიათო“ და „სისტემას ჩამორჩენილი“ არ ხარ, ამიტომ ბებიაქალის აზრით, ადამიანმა „ხელი უნდა გაანძრიოს“, ანუ ქონების მითვისების არსებული გზები გამოიყენოს, სხვა შემთხვევაში შვილებს ვერავინ ურჩენს. თავად „ბებია ქალიც“ ხომ, როგორც მაშინდელ წყობას შეესაბამება ე. წ. „ლევად“ ითხოვს იმ ფულს, რომელიც პერსონაჟს არ აქვს და არ აქვს სწორედ იმიტომ, რომ საკუთარი „ლევით“ გზა ვერ უპოვია, შესაბამისად, გამოიყურება

კიდევ საბჭოთა საზოგადოებას ჩამორჩენილად. სიღარიბე საყოველთაო პრობლემა არ არის, ვინც იცის ხერხი სიღარიბიდან თავის დაღწევისა, ვინც თავის წილ მარცხენა საშუალებას იყენებს, შვილების გაჩენის ფულიც აქვს და ვოლგის თუ ჯინსების საყიდელიც; მექრთამეობა და ფალსიფიკაცია, ლოზუნგების არ იყოს, ფესვგადგმულია საზოგადოებაში და ამას „ომარ ხაიამის“ ნიღაბიდან შემოაპარებს ავტორი:

„ღვინის მუშტარი მსაყვედურობს ისევ და ისევ:

– „ომარ ხაიამ, ჯამს შაქრიან ღვინით ნუ მივსებ!“

ვირო, ჭაჭაზე შაქარწყალი თუ არ დავასხი,

მა, სუფთა ღვინით შენ მიყიდი „ვოლგას“ და ჯინსებს?!“ (დუმბაძე, 2013: 73)

ამიტომ გიგილოს მამაც იძულებულია ფეხი აუწყოს სისტემას, მიჰყვეს დინებას და შედგეს ჭეშმარიტ საბჭოელად: „მეორე დღესვე გავსინჯე ჩემი საწყობი, ზედმეტ შაქარსა და კარაქს რეალიზაცია ვუყავი“. (დუმბაძე, 2013: 28)

შაქარწყლის ღვინოდ გასაღებისა და საწყობებში მოპარული შაქარ-კარაქის არ იყოს, უამრავ საქმეს ემჩნევა მოუწესრიგებლობის და ფალსიფიკაციის შედეგი, რასაც ასევე არაერთი პასაჟიდან გვაჩვენებს მწერალი:

„სამარის გარდა არ სწორდება არაფრით კუზი!

ეგ ყველამ ვიცით, მაგრამ, ღმერთო, იქნებ შენ მითხრა,

ამ პრობკით დაცულ ლიმონათში საიდან – ბუზი?!“ (დუმბაძე, 2013: 74)

ვფიქრობთ, ეს შინაარსიც მხოლოდ ლიმონათში მომწყვედელი ბუზის პრობლემას არ შეეხება, რამდენადაც საბჭოთა ამბიციური და ილუზორულად მოწესრიგებული სახელმწიფო საკმაოდ კომიკურად გამოიყურება ამ იუმორისტულ სტრიქონებში. განზოგადების უფლებას და შესაძლებლობას კი სწორედ ის გვამღვეს, რომ მოთხრობებში სხვაგანაც არაერთგზის არის გამომზეურებული რეჟიმისთვის დამახასიათებელი ბიუროკრატიული სიმახინჯე, რომელიც ამა თუ იმ პროფესიული სისტემიდან საყოფაცხოვრებო სიტუაციებსა და ზოგადად საზოგადოებრივ კომუნიკაციაშიც გადმოზრდილა და აღბეჭდილა.

მაგალითად, გავისხენოთ გიგილოს ძეგლის სუფრის აღწერა, რომლის კომიკურობაც დიდად სცდება იუმორის ფარგლებს და საბჭოთა რეჟიმის პირშო ადამიანთა კომიკურ სახეებს გვიხატავს. სტუმარ-მასპინძელიც და სუფრის წინამძღოლიც (რომელიც ტრადიციული თამადის სოციალისტური ტრანსფორმაციის უბადლო ნიმუშია), ერთიანობაში, განზოგადებულად წარმოადგენენ კომუნისტურ საზოგადოების მიკრო მოდელს, რომელსაც თავისი სახე-სიმბოლოებიც ჰყავს და მოთხრობაში წარმოდგენილი პერსონაჟები, სავარაუდოდ (ამის მინიშნებები საკმარისზე მეტია), პროტაგონისტები არიან კონკრეტული მოხელეებისა და პიროვნებებისა. თამადის ნათქვამი დაზეპირებული სადღეგრძელოები პოლიტიკურ აგიტაციას უფრო წააგავს, ვიდრე ტრადიციულ სადღეგრძელოებს, ხოლო თამადის მოადგილის (რომელიც ამასთანავე თამადის სამსახურებრივი მოადგილეცაა) მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო თამადის პიროვნების და საქმიანობის შექება უფრო მეტადაა, ვიდრე ახალშობილის დალოცვა. ცხადია, რომ, აქ ავტორი პირფერობას, არაგულწრფელობას, სარგებლის მიღების პერსპექტივაზე აგებულ ურთიერთობებს აკრიტიკებს, რაც სამწუხაროდ, მეტნაკლებად, ყველა დროისთვის არის დამახასიათებელი, თუმცა კომუნისტური საზოგადოებაში ეს ყოველივე პიროვნულ თვისებად კი არა, სისტემურ მანკიერებად გვევლინება, რამდენადაც, ნებისმიერი თავისუფალი აზრი, რაც სისტემისადმი პირმოთნეობის გარეშე შეიძლება გამოხატოს ადამიანმა, დამღუპველი შეიძლება აღმოჩნდეს პირდაპირი გაგებით. ნოდარ დუმბაძე, არსებული პირობების მიუხედავად, ახერხებს, ნათელი და ობიექტური წარმოდგენა შეგვიქმნას იმ პერიოდის საზოგადოების ცნობიერებაზე, მიზნებსა და მისწრაფებებზე, რომლებიც ძირითადად სისტემის გავლენათა შედეგებთან ასოცირდება. მწერალი ერთ ოჯახში, ერთი მაგიდის ირგვლივ კრებს მრავალფეროვან

საზოგადოებას და მათ სახეებში აერთიანებს სხვა და სხვა სოციალური ჯგუფის ტიპურ სურათებს.

თამადის მოადგილის სადღეგრძელოს მიხედვით, ახალშობილი არის ის პიროვნება, რომელმაც თავი მოუყარა ყველა მათგანს „ერთ მძლავრ, მონოლითურ კოლექტივად. დიდ ინტერესს იწვევს მისი (ახალშობილის) ასეთი მაორგანიზებელი უნარი გაჩენის პირველი დღიდან“ (დუმბაძე, 2013: 10) ამდაგვარი ტექსტები, პარტიული სხდომის ოქმებიდან და მოხსენებებიდან ცხოვრებაში გადმოღებული ფრაზებია. ხოლო მწერალი გამოკვეთს საფრთხეს, რომ – საქართველოში, შესაძლოა პარტიულობამ და ბიუროკრატია თანდათან შთანთქას სუფრაც, სადღეგრძელოც, ადათიც და ტრადიციაც.

ამავე სუფრის თანამეინახე „სახელოვანი პოეტი“ ჭიჭიკო კვერნაძეც პროლეტარული მწერლობის კრებითი სახეა, იგი მწერალთა და ხელოვანთა იმ კატეგორიას განაზოგადებს, რომელთაც ყვარყვარიზმი შეჰყრიათ და „ყველა პარტია ეკუთვნით“, შემოქმედებაში კი მხოლოდ ხოტბის ობიექტებს ცვლიან პერიოდულად. შესაბამისად მის მიერ ერთი ლექსის ყოველ ახალშობილზე მორგება ისე, თითქოს ინდივიდუალურ მიძღვნას კითხულობს, ბევრად უფრო შინაარსობრივად ტევად მინიშნებად გვესახება ვიდრე სიუჟეტიდან ჩანს ერთი შეხედვით.

საზოგადოებაში გავრცელებულ სისტემურ მანკიერებას ამხელს პერსონაჟის ეს ფრაზაც: „ვზივარ ჩემს საწერ მაგიდასთან და ანონიმკას ვწერ საკუთარ თავზე ზემდგომ ორგანოებს“ (დუმბაძე, 2013: 22) ერთია რომ, ამას ძალზედ სხვათაშორის და თითქოს კანონზომიერად ათქმევინებს პერსონაჟს მწერალი, რითიც ხაზი ესმება, რომ ეს განსაკუთრებული ვითარება კი არა, ჩვეულებრივი მოვლენაა. მოთხრობაში „მესამე საუბარი ღმერთთან“, ავტორი მსუბუქი იუმორით ცდილობს ჩამოაყალიბოს ღირსეული მწერლის სახე, სადაც ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი ასე გამოიყურება: „არ უნდა წერდე ანონიმურ წერილებს“ (დუმბაძე, 2013: 22), რაც კვლავ ამ მანკიერების დამახასიათებლობაზე მიუთითებს, თუმცა არის თუ არა დამახასიათებლობა სისტემური პრობლემა ამასთანავე? ამის გასარკვევად, აუცილებელია გავითვალისწინოთ ქვეტექსტი, რომელიც მწერალს შესანიშნავად გამოუყენებია, იგი კომიკურ ვითარებაში აყენებს ე. წ. „ანონიმკის დამწერს“, მაგრამ თავისთავადია, რომ უნდა ვიგულისხმოთ ანონიმკის მიძღები მხარეც, რომელიც ამდაგვარ გზავნილებზე დგას და შესაბამისად, გზას უხსნის ურთიერთობებისა და გადაწყვეტილებების მიღების ასეთი ფორმის დამკვიდრებას. ამიტომ, ამ პასაჟში პერსონაჟი არის იარაღი „ზემდგომი ორგანოების“ რეალური სახის გამოსააშკარავებლად. „ანონიმკებზე“ და დასმენებზე დაყრდნობილი სისტემა დაავადებულია და ეს დაავადება იმდენად არის ფესვგადგმული, რომ არავინ არის დაზღვეული, იერარქიის ზედა საფეხურებზეც კი. მოთხრობების ციკლში „საუბარი ღმერთთან“ პერსონაჟი ღმერთი, რომელიც ზოგჯერ, აშკარად, კონკრეტული უმაღლესი ჩინოვნიკის ალეგორიულ სახედ გამოიყურება, შიშს გამოხატავს დასმენისადმი და ეს ხუმრობაც დასმენების მასიურობის მიმანიშნებელი სატირული მონაკვეთია: „ – სსუუ! – ამაფარა პირზე ხელი ღმერთმა და შეშინებულმა კარისკენ გაიხედა, – ახლა ანგელოზს მოდებული აქვს ყური კარზე, თუ ძმა ხარ, სხვა რამეზე მელაპარაკე“ (დუმბაძე, 2013: 46)

როგორც აღვნიშნეთ, სინამდვილის მხატვრული ასახვის ფორმად ავტორი იუმორს და ირონიას საზრიანად და დიდი ოსტატობით იყენებს. ირონიის ის ფორმა, რომელსაც ნოდარ დუმბაძესთან ვხვდებით, ძალიან ჰგავს „სოკრატესეულ ირონიას“, რაც მოჩვენებით გულუბრყვილობას გულისხმობს. ფილოსოფიური სკეპტიციზმი ან „სოკრატესეული ირონია“, მოჩვენებითი გულუბრყვილობაა მოწინააღმდეგის პოზიციის სისუსტის გამოსავლენად. „სოკრატესეული ირონია“ კამათის ელემენტური, მიუკერძოებელი და თავაზიანი ხერხია, რომლითაც დოგმატური დებატების წარმართვა ბალანსის დარღვევისა და კომპრომისის გარეშე ხერხდება. სწორედ მსგავსი დებატებითა და ირონიით უპირისპირდება ნოდარ დუმბაძე გაუკუღმართებულ ჩვეულებებსა თუ

დამკვიდრებულ უზნეობას, ამხელს და სამარცხვინო ძელზე განათავსებს მოხდენილი იუმორის მოშველიებით.

დასმენებთან ერთად, ამ მონოლითური კომუნისტური საზოგადოების მკვეთრი თვისება სიყალბეცაა, იმის კეთება და იმის მტკიცება რაც არ სწამს, არ სჯერა მაგრამ სჭირდება: „– თუ ძმა ხარ, თავი დამანებე! მასე იცით თქვენ: ჯერ მთხოვთ, მერე გამოდიხართ ტრიბუნაზე, გადმოაგდებთ ცხრა მეტრ ენას და დედ-მამის სულს მიტრიალებთ“ (დუმბაძე, 2013: 42), – ეუბნება ღმერთი ჯვებზე დუმბაძეს, რომელიც ასე პასუხობს: „– რას ბრძანებთ, ბატონო! თქვენ ისე გვიყვარხართ ყველას, მე პირადად პარტიული ვარ და გუმინწინ მეექვსე ბავშვი მოვნათლე დიდების ეკლესიაში“ (დუმბაძე, 2013: 45), რითაც მწერალი მიაწინებს პარტიულთა კომიკურ მდგომარეობაზე, რომლებსაც არც ღმერთის სწამთ ბოლომდე და არც პარტიის, ჭეშმარიტების გზის მგზავრობას იჩემებენ და წარმოდგენა არ აქვთ, სად მიდის გზა, რომელსაც მიუყვებიან, ამიტომ ღმერთთანაც ტყუიან და საკუთარ თავთანაც.

მოთხრობებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სისტემურ მხილებებს მწერლობისა და მეცნიერების მაგალითზე, ანუ ნოდარ დუმბაძე პრობლემებს წარმოადგენს ეგრეთწოდებული ინტელიგენციის მაგალითზე, რაც ნიშანდობლივია, რამდენადაც ინტელიგენციაა სწორედ ერთგვარი ლოკომოტივი და ტონის მიმცემი მთელი საზოგადოებისათვის და შესაბამისად, მათში განვრცობილი სისტემური მანკიერებანი, უფრო მეტად გააზრებადია განზოგადოებულად სხვა სოციალურ ჯგუფებთან მიმართებითაც.

განსაკუთრებული სიმწვავეით არის გაშარჟებული საბჭოური პერიოდის ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრაფარეტულობა, რომელიც ძირითადად, სოცრეალიზმის ლიტერატურულ მიმდინარეობად იქნა ფორმირებული. მწერალი აჩვენებს, რაოდენ სასაცილოდ გამოიყურება სიყალბე და ჩარჩოებით შემოსაზღვრული თემატიკა ლიტერატურაში და პირდაპირი გაგებით ილაშქრებს აღნიშნულის წინააღმდეგ. მოთხრობაში „ლიტერატურული მიეზანი“, ნოდარ დუმბაძე ირონიულად დაყოფს მის თანამედროვე პოეზიის მიმდინარეობებს, თუმცა ამ დაყოფაში რომ ირონიია და არა მხოლოდ იუმორი, ვფიქრობთ დიდი დაკვირვება არც არის საჭირო: „1. სამრეწველო პოეზია: ქვედარგები: ა) მძიმე ინდუსტრია; ბ) მსუბუქი მრეწველობა. მოვიყვანოთ მაგალითი მძიმე ინდუსტრიიდან:

„მარტენი,
ბოლტები,
ვინტები,
ქანჩები,
მე ამ ცვლის შემდეგაც
დაზგასთან დავრჩები...
და რომ მომცემენ მე უფლება,
არ ავიღებ შვებულებას“.

საერთოდ, სამრეწველო პოეზია, როგორც შედარებით ახალი დარგი, ჯერ მთლიანად არ არის ათვისებული, ისე კი დიდ პერსპექტივებს იძლევა“. (დუმბაძე, 2013: 77) მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი გასაგები და აშკარა ცინიზმით არის დაწერილი, ლიტერატურაში შემოსული კომუნიზმის კიდევ არაერთი წახნაგია ნაჩვენები და გაკრიტიკებული იუმორისტულ მოთხრობებში. თუ წინა ციტატა პოეზიაში კოლმეურნეობისა და ქარხნების შემოტანას დასცინის, სხვა მოთხრობასა და სხვა პასაჟებში პრობლემის კიდევ სხვა მხარეს აკრიტიკებს მწერალი, მაგალითად, პროზაში დამკვიდრებული სოციალიზმი, სადაც კომუნისტი მთავარი პერსონაჟი მუდამ სამართლიანი, მუდამ პატიოსანი, დაუღალავად მშრომელი და უცილობლად გამარჯვებულია, ხოლო სიუჟეტი გარდაუვლად საბჭოთა სისტემის იდეალურობის მაჩვენებელი, რის გამოც ყველა მოთხრობა (როგორც მწერალი აღნიშნავს) „საქორწილოდ

გამომცხვარი უმარული ხჭაპურივით“ ერთმანეთს დამგვანებია. „რაციონალური წინადადება მაქვს: დაიწეროს ერთი დიდი ანონიმური რეცენზია ყველა ასეთ ნაწარმოებზე და მერე ავტორებმა იტეხონ თავი, ვის რომანს ეხება იგი. არადა, არც ის ვარგა, რომ საერთოდ არ ვწეროთ რეცენზიები“ (დუმბაძე, 2013: 77), – საკითხთან დაკავშირებით ასე ჩივის ნოდარ დუმბაძის კრიტიკოსი პერსონაჟი მოთხრობაში „ლიტერატურული ძიებანი (რეცენზია)“.

ამავე მოთხრობის სხვა მონაკვეთებშიც საინტერესოდ არის გაშლილი სოციალისტური რეალიზმის ჟანრის საკითხი, ქუჩაში შემთხვევით შეხვედრილი მწერალი ეუბნება კრიტიკოსს „ – როგორ, არ წაგიკითხავს ჩემი რომანი? სირცხვილი შენი, არ გეკადრება კრიტიკოსს!“ (დუმბაძე, 2013: 83-84) რაზეც კრიტიკოსის (რომელსაც თვალთაც არ უნახავს ამ მწერლის რომანი) პასუხი ძალზედ ნიშანდობლივია და ინფორმატიული ჩვენი კვლევის მიმართულებით.

„ – როგორ არ წამიკითხავს, რეცენზიაც თითქმის მზადა მაქვს, მაგრამ ერთ დეტალში არ გეთანხმები, აი, ის კოლმეურნეობის თავჯდომარე რომ არის, რა ჰქვია?

– მიხაკო!

... – იმაზე რაღას იტყვი, საწყობის გამგე და ბუღალტერი რომ რაღაცა....

– რა გინდა, ძმაო, ბოლოს ხომ არ შერჩათ მაინც, ხომ გადასცა პროკურატურას მიხაკომ.

... – ის კონფლიქტი მაინც საეჭვოდ მიმაჩნია, ფერმაში რომ ხდება!

– რომელი? ფერმის გამგემ რომ რევიზორს გოჭი არ დაუკლა? ...მართალია, ეს ადგილი ცოტა დამაჯერებლობას მოკლებულია“. (დუმბაძე, 2013: 85)

დავიწყოთ იქიდან, რომ, მოთხრობა აშკარას ხდის, როგორ მოუცავს სრულიად ბანალურ ტექსტებს ეპოქის პროზა, საბჭოთა რეჟიმი ფესვგამდგარია ყველგან, ცხოვრებაში, ბიუროკრატიაში, ხელოვნებაში, მწერლობაში და უშუალოდ ტექსტებშიც რეჟიმი დამყარებულა; ამასთან, ტექსტის მიხედვით, დამაჯერებლობას მოკლებულია „ფერმის გამგემ რომ რევიზორს გოჭი არ დაუკლა“, რაც მექრთამეობის დამახასიათებლობას ააშკარავებს, თუმცა მექრთამეობას იმდენად დიდი დოზით ვხვდებით ამ იუმორისტულ ტექსტებში, რომ ამაზე ქვემოთ უფრო კომპლექსურად განვახილავთ მსჯელობას.

იგივე პათოსს გამოხატავს მორიგი რომანის დახასიათება სხვა პასაჟში („მეცნიერება და ტექნიკა – ერთი საინტერესო წიგნის გარშემო“): „მოქმედება გურიის სოციალისტური საკოლმეურნეო სოფლის ფონზე იშლება, ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, დადებითი გმირი აბიათარი, ბრუნდება რა სამამულო ომიდან, სათავეში უდგება ჩამორჩენილ კოლმეურნეობას.

აბიათარი თითქოს განწირულია, მაგრამ იგი შრომაში პოვნებს შვებას. „...ბოლოს აბიათარი სოციალისტური შრომის გმირი გახდება. გამოასწორებს ასევე ჯარიდან დაბრუნებულ, გალოთებულ ჭიჭიკოს და სოფელს დაუბრუნებს გარდამავალ დროშას“. (დუმბაძე, 2013: 110) „რომანის“ შინაარსის ამდაგვარი პათოსით თხრობა, რაც აშკარა დაცივნის იერს ატარებს, სოციალისტური რეალიზმის კრიტიკაც არის და იმ მოცემულობისაგან არსებული რეალობის გაიდევალებას რომ გულისხმობს, სიყალბისა და სიცრუის ტირაჟირების ხარჯზე. კიდევ ერთი საინტერესო პასაჟი გვინდა გავიხსენოთ, კრიტიკოსი აძლევს შენიშვნას ავტორს „ერთ ადგილას წერია: „თითო სიმინდის ოთხი ტარო ებაო“, აჯობებდა „შვიდი ტარო“. (დუმბაძე, 2013: 111) ეს თითქოს უწყინარი შენიშვნა წარმოადგენს ილუზორული რეალობის შექმნის მექანიზმების მხილებას, რეჟიმის განუხრელი ნებაა, ითქვას და დაიხატოს რაც შეიძლება უზრუნველი და თუნდაც წარმოუდგენლად გაიდევალებული რეალობა, ამ დამოკიდებულების მხილება კი, პრაქტიკულად მინიშნებაა საზოგადოებისთვის, რომ ისინი გაზვიადებულ წარმოდგენებს დაუქვემდებარეს, ხოლო რასაც უყვებიან, უხატავენ და აჯერებენ სიყალბეა; ანუ თუ განზოგადების გაბედულებაც ეყოფათ, მათ შეუძლიათ გაიაზრონ, რომ სისტემა მათ

ატყუებს და მოჩვენებით ყოფაში აცხოვრებს, ხოლო, განზოგადება, რომ გადაჭარბებული აღქმის შედეგი არ არის, ამაზე მეტყველებს მრავალი სარკასტული კომპონენტის არსებობა მთელ რიგ მონაკვეთებში და ყოველ მოთხრობაში არაერთი. მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ, რომ მწერლისა და კრიტიკოსის ერთ, საერთო, დამკვიდრებულ მოცემულობაში განხილვით ნოდარ დუმბაძე სწორედ განზოგადების აუცილებლობაზე მიუთითებს. სიმბოლური გააზრებით მწერლის, მკითხველისა და კრიტიკოსის შეკრული წრედი სწორედ მასშტაბურობის ჩვენებაა, რამდენადაც, სიუჟეტში თავმოყრილია დამკვეთიც, შემსრულებელიც და პროდუქტის მიმღებიც, ამდენად, პროცესი ყოვლისმომცველად არის წარმოდგენილი, რომელიც მთელს საზოგადოებას მოიცავს და დუმბაძისეულ მხილებას სასიცოცხლოდ საჭიროებს, რათა ადამიანები რამენაირად დაუბრუნდნენ რეალობას და იმ მექანიზირებულ რობოტებს არ დაემსგავსონ, რომლებიც ყოველგვარი ანალიზის გარეშე იღებენ სისტემის შეთავაზებას და თანდათან რჩებიან უაღრესად შეზღუდულ სააზროვნო საზღვრებში, სადაც ყველა ადამიანის გზა ერთმანეთს გავს და ნებისმიერ საკითხზე წარმოდგენაც იდენტურია. მას შემდეგ რაც მკითხველი აღმოაჩენს, რომ რეცენზია, რომელსაც იგი ეცნობოდა და რომელსაც მხოლოდღა რომელიმე ცნობილი კრიტიკოსის გვარის მიწერა ესაჭიროება, რეალურად, არა კრიტიკოსი ადამიანის, არამედ კრიტიკოსი მანქანის მიერ არის დაწერილი, რაც ყოფის შაბლონურობაზე ხაზგასმის გარდა კვლავ სიყალბესა და სიცრუის ტირაჟირებს უსვამს ხაზს. ამ საფრთხეებს აჯამებს ნოდარ დუმბაძის საფინანსო რეპლიკაც: „კიბერნეტიკის ინსტიტუტი უახლოეს დროში აპირებს კრიტიკოსი მანქანის სერიულ გამოშვებას, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდასა და კრიტიკული შრომის ინტენსიურობას“. (დუმბაძე, 2013: 113) ეს რეპლიკაც საკმაოდ გასაგები მინიშნებაა შაბლონურობის გამუდმებული დანერგვის მავნე შედეგებზე, რაც საბჭოთა ადამიანის რობოტიზაციისკენ მიმართული გზაა მწერლის პათოსის მიხედვით. როგორც ვიცით, კიბერნეტიკა არის „მეცნიერება მართვის პროცესების ზოგად კანონზომიერებათა შესახებ ორგანიზებულ სისტემებში (მანქანებში, ცოცხალ ორგანიზმებსა და საზოგადოებაში“. (ქართული ლექსიკონი, თ.გ.) იმდენად, რამდენადაც ცენზურის ერთადერთი მიზანი მხოლოდ იმაში მდგომარეობდა – დაედგინა, როგორ პასუხობდა ესა თუ ის ნაწარმოები პარტიულ პრინციპებს, ნოდარ დუმბაძემ ამ მოთხრობით თავად უვარგისი კრიტიკა გააკრიტიკა და საინტერესოდ დაგვიხატა საბჭოთა კრიტიკოსის (ცენზორის) კრებსითი სახე: „წელში გამოყვანილი, კიდურებიანი ყუთი, რომელსაც ზემოდან თივით, ან ჭინჭით გატენილი თავის მაგვარი ბურთი ადევს. მანქანას ორი ჭრილი აქვს: ერთი ამ თავის კოტორზე, ხოლო მეორე იქ, სადაც ჩვეულებრივ ადამიანებს პირი აქვთ. პირველ ჭრილში ვაგდებთ ფულს, ჰონორარის სახით, ხოლო მეორეში – ნაწარმოებს, ვაჭერთ თითს ღილაკს, რომელიც მანქანას დაახლოებით „მაზოლის“ ადგილას აქვს, და მანქანა იწყებს კრიტიკული წერილის წერას“. (დუმბაძე, 1990: 410) კრიტიკოსთა ის ნაწილი, რომელთა საქმიანობაც გარკვეულ პირთა სურვილების და დაკვეთების შესრულებას ემსახურება, რომლებიც ჰონორარის გამო არაფერს თაკილობენ უფრო მწვავედ როგორ უნდა მხილებულიყო – ჩვენთვის ყოვლად წარმოუდგენელია. ისიც ბუნებრივია, რომ აქაც აღნიშნული რეალობის მიღმა კიდევ მრავალ პროცესს გულისხმობს მწერალი, რადგან მკითხველმა ზუსტად იცის, რატომ არის კრიტიკა მიკერძოებული, ვისგან მოდის ეს ზოგადი ტენდენცია და რა დგას ამ ყველაფრის უკან. ყოველივე კი მეტყველებს იმ პერიოდში ქართულ სინამდვილეში არსებულ მთელ სისტემაზე და ამ სისტემათა წიაღში არსებულ მრავალ პრობლემაზე.

ზოგადად, მოთხრობათა ეს ციკლი წარმოადგენს, ყოველგვარ მხატვრულ ფანტაზიას მოკლებულ, კომუნისტური პროზის მწვავე კრიტიკას, სადაც, მხოლოდ საბჭოური ყოფაა ასახული, ამ ყოფის განუყოფელი მოქმედი პირებით: საწყობის გამგე, ბუღალტერი, თავმჯდომარე, კოლმეურნეობა, ფერმა და მარტოოდენ ამ რეალობის ირგვლივ განვითარებული მოვლენები. შეიძლება ითქვას რომ, ამ ციკლში, მწერლობის შესახებ

გამოთქმული არაერთი მოსაზრება და მთავარი სათქმელი, „მოთვინიერებული მწერლობის“ სახის ჩვენებაა, აკაკი ბაქრაძის ნაშრომის არ იყოს: „ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა გაადატაკა მწერლობა საერთოდ და მწერალი კონკრეტულად. უნაყოფო გახდა მისი შრომა... როცა მწერლობა ადამიანის ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობით ფასდება და სხვა, უფრო მაღალი კრიტერიუმი დაკარგული გვაქვს, როცა ადამიანი არ ფიქრობს სიცოცხლის, სიკვდილის, გონიერების, უგუნურების, პატიოსნების, უსინდისობის, სილამაზის, სიგონჯის და სხვა ამგვარ პრობლემაზე და მისი რუასი დაკავებულია მხოლოდ დროებითი და წარმავალი საკითხებით, იგი უზნეობის ჭაობში ეფლობა“. (ბაქრაძე, 1990: 67-69) სწორედ ეს შრეები გამოვლენილი ნოდარ დუმბაძის მოთხრობათა ამ ციკლშიც. გონებამახვილური სიუჟეტური განვითარებისა და პარალელური სარკაზმის ფონზე, ავტორი გვიჩვენებს იმ წიგნების არარაობას, რომლებიც ან მხოლოდ ჰონორარისთვის არიან შექმნილი, ან სხვა, ანგარებითი თუ მამებლური მიზნებისთვის და საერთო არაფერი გააჩნიათ ხელოვნებასა და ლიტერატურასთან. მხილებულია პროლეტარიატის წარმომადგენელი მწერლის ზოგადი სახე, რომელიც განსაზღვრულ ჩარჩოში უნდა ჩატეულიყო და ეწერა მხოლოდ ის და ისე, რაც და როგორც რეჟიმს ენება.

ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ სწორედ თავისუფლებისა და განვითარების ფანჯრები იქოლებოდა. „საბჭოთა საქართველოში“ მხოლოდ მწერლობა არ იწვევს ამ სასჯელს, აქ ჩართულია ხელოვნებაც და მეცნიერებაც, რაც ასევე სულაც არ არის ჩვენი ინტერპრეტაციის უნარის ამარა დატოვებული ხედვა, ეს განზოგადებაც ამავე მოთხრობათა ციკლში (მაგ. „ლიტერატურული ძიებანი (კომედია)“ იკითხება: „ამასობაში მსახიობები გამოათრევენ რეჟისორს და უკრავენ ტაშს. მეკარე გაფრთხილებულია – გასასვლელი კარი არ გააღოს. ნათესავები გვესვრიან ყვავილებს და ამშვიდებენ მაყურებლებს, რომლებიც გაიძახიან: – რა გააჭირეთ საქმე, გააღეთ კარი და გაგვიშვით! – ბოლოს უნდა იყვეს ბანკეტი და შეისვას ხელოვნების სადღეგრძელო“. (დუმბაძე, 2013: 90) იუმორისტულ მოთხრობაში აღწერილია ორმოქმედებიანი სპექტაკლის დასკვნითი ნაწილი, რომელიც ძალდაუტანებლად იწვევს ასოცირებას კომუნისტური პარტიის ყრილობებთან, სადაც ტაშის მომენტიც კი წინასწარ არის დაგეგმილი, სწორედ ეს პარტიული „მექანიზმები“ და სრულიად გასაბჭოებული შინაარსია შემოსული ხელოვნებაშიც, რომელსაც, ამ შემთხვევაში, თეატრის მაგალითზე აღწერს მწერალი და, ამ კომიკური სიყალბის ფონზე, ბუნებრივია, ძალზედ შეუფერებელია ხელოვნების სადღეგრძელო, რომელიც, კვლავ ილუზორულობის ხაზგაზმად გამოიყურება და უკიდურესად ცინიკურად ჟღერს სიტყვისა და რეალობის ამ მასშტაბის აცდენილობის ფონზე.

მწერლობასთან, მეცნიერებასთან და ხელოვნებასთან ერთად სარკაზმს ვერ გადაურჩა საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემაც. აბიტურიენტი გიგილოს ოჯახში შედგა კრება და განაწილდა ოჯახის წევრთა ფუნქციები: „დედას უნდა მოეძებნა პროტექტორი, ბებია-ბაბუას დაევაღათ ამ საქმის სოფლის მეურნეობის, მემინდვრეობის და მეცხოველეობის ჭარბი პროდუქტებით უზრუნველყოფა“, ხუმრობითა და იუმორით მწერალი რეალურად, შიშველ სააშკარაოზე გამოიტანს იმ პერიოდის განათლების სისტემაში არსებულ კორუფციას, მექრთამეობას და ნეპოტიზმს. ამ მხრივ, საინტერესოა სიუჟეტი რომელიც გიგილოს გამოცდაზე ყოფნას აღწერს:

„ – გვადი ბიგვაზე რას იტყვით ?

– საუცხოო კაცია, მამაჩემის მეგობარია, სწორედ მაგას სთხოვა მამამ, ჩემს შესახებ ეთქვა თქვენთვის – თქვა გიგილომ და თავი მორცხვად დახარა. ყოველთვის ასეა, პროტექტორის ხსენება რომ დაგჭირდება“. (დუმბაძე, 1990: 357) ამ რეალობის აღწერა ერთგვარად სარკის ფუნქციასაც ითავსებს, ავტორი, გიგილოს მაგალითზე, ისევ ზოგად პრობლემაზე მიანიშნებს, რითაც ცდილობს ყურადღება შეაჩეროს ჩვენს მიერ ზემოთ უკვე დასახელებულ საკითხებზე და მკითხველს მისცეს საშუალება თავად განსაჯოს ავ-კარგი,

თვითონ გააკეთოს არჩევანი კარგსა და ცუდს შორის. ამ ნაწყვეტში, ცალკე უნდა იქნას ხაზგასმული ავტორისეული რეპლიკა: „ყოველთვის ასეა, პროტექტორის ხსენება რომ დაგჭირდება“ – ამგვარად, ავტორი პრობლემის სიხშირესა და დამახასიათებლობაზე აქცენტირებს, სიუჟეტში აღწერილი მაგალითის ჩვენებით კი განაზოგადებს და ნათელს ჰფენს პრობლემის გავრცელების მასშტაბებსაც და პირად, ცინიკურ დამოკიდებულებასაც ამ რეალობისადმი.

იუმორისტულ მოთხრობათაგან, იმავე თემატური ნიშნით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოთხრობაა „თუ ასეა, მეც მინდა დისერტაცია“, რომელიც, როგორც გარკვეულწილად სათაურიდანვე ხდება საცნაური, განათლებასა და მეცნიერებაში არსებული პრობლემების კრიტიკაა კიდევ ერთხელ. მოთხრობის მიხედვით, დისერტაციის დაცვისკენ, მეცნიერის წოდებისკენ ლტოლვა ადამიანის უნარ-ჩვევებზე, მკვლევრის ალღოსა და ნიჭიერებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ფულზე, სანაცნობო წრესა და „მარიფათზე“; ადამიანთა გარკვეულ წრეს, ყოველგვარი შრომის გარეშე, სხვადასხვა გზებით აქვთ მოპოვებული ესა თუ ის ხარისხი და წოდება, რაც მეცნიერების ნაცვლად ფსევდო-მეცნიერებას უდებს საფუძველს: „სალამი ძვირფასო კუკური! გავიგე დისერტაცია დაგიცავს, გამიკვირდა, მაგრამ ძალიან გამიხარდა. მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ შენგან კარგი მეცნიერი დადგებოდა, ბოროტი ხმები დადის, სიმამრმა დაუწერაო, მაგრამ მაგას როგორ დავიჯერებ. მე ხომ ვიცი, რომ იგი კრეტინია“. (დუმბაძე, 1990: 408) არ არის რთული ამოსაკითხი, რომ პასაჟში კვლავ მკვეთრად არის გაკრიტიკებული საგანმანათლებლო სისტემა და მეცნიერებაში არსებული პრობლემები. ასახული სიუჟეტის, როგორც მოვლენის მიღმა, ბუნებრივად იგულისხმება უამრავი ნიუანსი, რომელზეც მკითხველი თავადვე ახერხებს ლოგიკური დასკვნის გაკეთებას. კუკურის მიერ დისერტაციის დაცვა რომ საეჭვოა, ეს გასაგებია, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მისი დიდი ხნის წინ გაპროფესორებული სიმამრიც არ არის დისერტაციის დამწერი „რადგან კრეტინია“... ასეთი „კრეტინები“ კი ახალგაზრდა თაობის აღმზრდელთა შორის აღმოჩნდებიან და რა როლს შეასრულებენ, რთული წარმოსადგენი არც ეს არის. მოთხრობაში ასახული გარემოებები და „მეცნიერთა“ შერჩეული სხვა და სხვა „საკვლევი თემატიკა“ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმ პერიოდში ქართული მეცნიერების წინაშე წამოჭრილ საბჭოურ გამოწვევებზე: „მოკითხვა გადაეცი შენს მეუღლეს ციკოს. გავიგე მასაც გადაუწყვეტია დისერტაციის დაცვა ხელოვნებათმცოდნეობის დარგში ფრიად აქტუალურ თემაზე – „საზღვარგარეთული ფილმები, როგორც მოდების დაუმრეტელი წყარო და მათი როლი მდედრობითი სქესის არსებათა მიმიკების, ჟესტიკულაციის, ტანთა მიმოხვრისა და ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბების საქმეში“. ამ შემთხვევაშიც, გარდა იმისა რომ სათაურის კომიკურობა ნიშანდობლივი და თვალშისაცემია, ასევე ნაჩვენებია ჩაკეტილი სივრცის პრობლემა, რადგან გარე-სამყარო და მსოფლიო ცივილიზაციის უახლესი მიღწევები მხოლოდ ფილმებიდან არის ხილვადი, რაც განვითარების თანამედროვე ეტაპებზე დიდი დისტანციით ჩამორჩენის საწინდარია.

ფსევდო მეცნიერთა მომრავლების პრობლემაზე, რაც დიდწილად გამოწვეულა სისტემის მიერ თავსმოხვეული რეალობიდან, იუმორისტული ციკლის მოთხრობებში გაჟღერებული „სადისერტაციო ნაშრომების“ აბსურდული სათაურებითაც მიუთითებს ავტორი. ნოდარ დუმბაძე გიგილოს მოთხრობათა ციკლშიც ეხება ხსენებულ თემას და პერსონაჟს ათქმევინებს: „ეჰ, ჩემო ძვირფასებო, რვა დღე როგორ არ არის არაფერი! მე ვიცი ხალხი, ვინც რვა დღეში დისერტაციას წერს და იცავს კიდევაც“. (დუმბაძე, 2013: 36)

განზოგადების მანიშნებელია ის სიმბოლიზმიც, რომელიც „ღმერთთან გასაუბრების“ მესამე ნაწილშია წარმოდგენილი, ჩვენი აზრით, პარალელი წიგნის ბაზარსა და საკოლმეურნეო ბაზარს შორის, სწორედ ამას ცხადყოფს, ამით მწერალი აკეთებს ერთის მხრივ საინტერესო შედარებას და მეორეს მხრივ მიანიშნებს, რომ, ასეთ

პირობებში, ერთი წრის, ერთი კონკრეტული საზოგადოების მდგომარეობა დიდად არ განსხვავდება სხვა წრეებში არსებული ვითარებისგან.

ნოდარ დუმბაძის პირადი დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ კარგად არის ნაჩვენები მის წერილში „ჩემი რუსთაველი“, სადაც ავტორი პოემის შესახებ წერს: „უკვდავი წიგნი დღემდე მიდევს სასთუმალს, როგორც: ავადმყოფს – წამალი, ხეივარს – ყავარჯენი, მეომარს – იარაღი და მწერალს ქართული სიტყვის თვალმარგალიტით სავსე, აუწონელი საუნჯე და სალარო...“ (დუმბაძე, 1992: 65-66; 68) ამ მასშტაბის საგანძურად მიიჩნევს მწერალი „ვეფხისტყაოსანს“ და გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ იგი, რადგან განათლების სისტემას, მწერლობას და მეცნიერებას შეეხება, გვერდს არ აუვლის „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის საკითხებსაც. ამდენად, ქმნის იუმორისტულ ფელეტონს – „ცოტა რამ „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო“, რომელშიც „მგზნებარე რუსთაველოლოგ ჯვებე დუმბავას“ სახელით, წარმართავს „ვეფხისტყაოსნის“ მეტად თავისებურ განხილვას. ფელეტონის ერთ მონაკვეთში ჯვებე დუმბავა ყურადღებას ამახვილებს „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ აქცენტზე და ამ კუთხით „განიხილავს“ მას, რის საშუალებითაც ცდილობს ნაწარმოებში არსებული სიტყვები მოარგოს რუსულ ენაში არსებულ სიტყვებს და ამით იქმნება მძაფრი სარკაზმი რადგან, სრული აბსურდია დააკავშირო ერთმანეთთან „ვეფხისტყაოსნის“ ენა და რუსული ენა. ამიტომ, ვფიქრობთ, ამ მეთოდით, ნოდარ დუმბაძე, საბჭოთა საქართველოში ძალზედ გავრცელებულ გარუსების პოლიტიკის და ამ ქართველთა გარუსების იდეისა და მცდელობის აბსურდულობას უსვამს ხაზს, „ვეფხისტყაოსნის“ კონტექსტი კი ერთგვარი მყარი არგუმენტი და ხელჩასაჭიდი საბუთია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სამშობლოს გარუსება წარმოუდგენელი და შეუძლებელია.

როგორც ზემოთ გვქონდა საუბარი, იუმორისტულ ციკლში განსაკუთრებით უხვად არის მინიშნებანი მექრთამეობასა და პროტექციონიზმზე, მაგალითად, მისაღები გამოცდიდან დაბრუნებული შეწუხებული გიგილოს მამა, ასე ამშვიდებს აბიტურიენტ ვაჟს: „ – არ მიგიღეს, ხვითო, უმაღლესში? ქრთამი უნდოდათ, შვილო?“ (დუმბაძე, 2013: 30) ან ამ ციტატის ქვეტექსტი რას უნდა გულისხმობდეს: „სასურველია, ათწლეულის დამთავრებასთან დაკავშირებით ბავშვს გაუკეთოთ მოულოდნელი საჩუქარი – ოქროს ან ვერცხლის მედალი“. (დუმბაძე, 2013: 130) თუ ბავშვი თავად სწავლობდა სათანადოდ, მაშინ ოქროს მედალი სკოლის დამთავრებასთან დაკავშირებით მისთვის მოულოდნელი საჩუქარი ვერ იქნება, ანუ მედელების განაწილება, ხშირად, მშობლების ვინაობასა და შესაძლებლობებზე გადის, რაც იმ პროცესებს გადაგვააზრებინებს რა პროცესების გავლითაც შეიძლებოდა შვილისათვის „მოულოდნელი მედალის“ მირთმევა. ეს მოულოდნელი მედალი კი, ზოგადად არსებული მიდგომის – დაუმსახურებლის არასამართლიანი გზებით მიღების სიმბოლოც არის, ბუნებრივია.

განათლების სისტემაში დამკვიდრებული მექრთამეობაზე მინიშნება გასაგებია, მაგრამ ვნახოთ ნოდარ დუმბაძის იუმორისტული პოეზიაც:

„ბრიყვო ხაიამ, ინსტიტუტს და დუქანს ვერ არჩევ?!“

აქ ნაღდს იღებენ! ვინ დაგიწერს ნიშანს ნისიად!“ (დუმბაძე, 2013: 74)

მაგრამ არც იუმორისტულ პოეზიაში შემოიფარგლება მწერალი მხოლოდ განათლების სისტემით: „დარდიანად გულზე ბიძაჩემა „ვოლგა“ მიყიდა, დამისხით ღვინო, სადღეგრძელოს ვიტყვი რიხითა! გავიტან ვინმეს? – არ მომჭამონ ძირში ფეხები, ერთ წელიწადში გამომაგდებს მამა ციხიდან“. (დუმბაძე, 2013: 70) აქ უკვე სასამართლოში ფესვგადგმული კორუფცია და პროტექციონიზმია მხილებული, საინტერესოა, რომ მოგვიანებით, ასევე იუმორისტულ ფელეტონში „ლიტერატურული ძიებანი“ ამ სტრიქონებს თავად ავტორი ასეთ ინტერპრეტაციას აძლევს: „ერთ წელიწადში გამომაგდებს მამა ციხიდანო“, ესე იგი, მამამისი ან ძალიან ფულიანი და შეძლებული კაცი იყო, ან რაღაც საგულისხმო პოსტი ეკავა“. (დუმბაძე, 2013: 68) „ომარ ხალიანის“ სხვა სტრიქონებსაც ჩავხედოთ, რომ შემთხვევით არ ვიფიქროთ, თითქოს სასამართლოში

გამეფებულ კორუფციას მიზანმიმართულად არ შეეხო მწერალი, ან ერთეულ შემთხვევას გულისხმობდა:

„მე სუდიასთან სამდურავი რა დამრჩენია!

რაღაც სტო ტიში დამიჯინა განაჩენია!...“ (დუმბაძე, 2013: 73)

ვფიქრობთ, აბსოლუტურად ნათელია, ნოდარ დუმბაძის იუმორისტულ ციკლში წარმოდგენილი ხუმრობების იდეა, არა ღიმილის მოსაგვრელად მგონილი თემები, არამედ, არსებული პრობლემების დემონსტრირება, მათი გაკომიკურება და გაშარჟება.

კორუფციას რომ როგორც სისტემურ მანკიერებას ისე აღიქვამს მწერალი, ეს ასევე საცნაურდება ფელეტონების ციკლში „მეცნიერება და ტექნიკა“, სადაც ერთი პერსონაჟი მიმართავს მეორეს: „ადრე თუ შეგიმჩნევია მექრთამეობის მაგვარი რამ „რწყილსა და ჭიანჭველაში?“ დარწმუნებული ვარ, არა. მე კი შევამჩნიე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სასადილოს დირექტორი გავხდი, პირადად მე რამდენჯერმე მომიხდა ხან რწყილსა და ხან ჭიანჭველას როლის შესრულება“. (დუმბაძე, 2013: 107)

პერსონაჟის ორმხრივი ჩართულობაც კორუფციაში, რა თქმა უნდა პრობლემის მასშტაბურობას გულისხმობს და რაც ყველაზე უფრო მტკივნეულია, ამ პრობლემებს აქვთ საკუთარი უკუშედეგები, ქრთამით კურსდამთავრებულები ხდებიან კრიტიკოსები, რომლებიც მექანიზებულ ინსტრუმენტს ჰგვანან; ქრთამით კურსდამთავრებულები ხდებიან მეცნიერები, რომელთა კვლევაც და რომელთა მიერ განსაზღვრული მეცნიერული პრიორიტეტებიც სასაცილოა და განვითარების შემაფერხებელი; ქრთამით კურსდამთავრებულები არიან იმ მედიცინის მუშაკთა კატეგორია, რომლებიც განხილულ მოთხრობებში ასევეა გაშარჟებული: „ის არის, მამაზეციერო, ბრმა ნაწლავის ოპერაცია რომ გაუკეთეს ამას წინათ და მაკრატელი ჩაუტოვეს მუცელში“, – წერს მწერალი მოთხრობაში, „პირველი საუბარი ღმერთთან“. (დუმბაძე, 2013: 37)

იუმორისტულ მოთხრობათა ციკლში „ღმერთთან საუბრების“ სახელით, სამი მოთხრობა გვხდება; სამივეში, მიუხედავად მათი თითქოს ანეგდოტურობამდე იუმორისტული ხასიათისა, სრულად და ძალზე სერიოზულად არის წამოჭრილი რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი და პრობლემა. ამ შემთხვევაში, სამივე ტექსტის მთავარ პერსონაჟად თავად მწერალი უნდა მოვიანოთ, რომელიც კვლავ ჯვებე დუმბაძას სახელით ფიგურირებს ნაწარმოებებში. რა თქმა უნდა, პერსონაჟის გვარი საკმაოდ ნიშანდობლივია და ერთგვარი ხაზგასმაა მის მოსაზრებათა დასაკავშირებლად ავტორთან. ამრიგად, რამდენადაც, ავტორი მთავარ პერსონაჟადაც იდენტიფიცირდება, პერსონაჟი – ღმერთის სახეც, სავარაუდოა, რომ ფორმირებული იყოს რომელიმე კონკრეტული, გავლენიანი ჩინოსანის, ან რამდენიმეს გაერთიანების შედეგად. თუმცა, ამ შემთხვევაში პროტოტიპს არ ვგულისხმობთ, ვსაუბრობთ მხოლოდ და მხოლოდ ინსპირაციის წყაროზე.

პერსონაჟი „ღმერთის“ წარმომავლობის ძიება ცდება ჩვენს საკვლევ პრობლემას, თუმცა რამდენიმე კრიტერიუმს მაინც გამოეყოფთ სამომავლო ანალიზისათვის, რომელიც შესაძლოა შემდგომში უკეთ იქნას განვრცობილი. პერსონაჟის წარმომავლობის ძიებისას გასათვალისწინებელია, რომ იგი მეტად დაინტერესებული და გათვიცნობიერებულია ფეხბურთის, ფეხბურთელების, გულშემატკივრების, ასევე, ფეხბურთელთა მოედანს მიღმა ცხოვრების პერსონალურ დეტალებში; აღნიშნულის გამო, ვფიქრობთ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზოგადად მიმდინარე საკითხებში ღრმად ინფორმირებული მოხელე იგულისხმება, ვისთანაც თავს იყრის ყველა ინფორმაცია წვრილმანი ნიუანსებიანად; იგი კარგად იცნობს პროცესებში ჩაბმულ ადამიანებს (ამ შემთხვევაში – სიმბოლურად ფეხბურთელებს) და რჩევა დარიგებებს თუ გაფრთხილებებსაც უთვლის: „გადაეცი ჩემგან: ცოტა ღვინის სმას მოუკლონ და საათში ოც კილომეტრზე მეტი სიჩქარით ნუ დადიან თორემ... კიროვის ბადის ბიჭების ბღავილი და კისრის ძარღვების ბერვა ვეღარ უშველით მერე...“ (დუმბაძე, 1990: 365-366) აშკარაა რომ, ციტატა უსერიოზულეს შენიშვნას მოიცავს საკუთარ იუმორისტულ ბუნებაში:

სპორტსმენობა და ცნობადობა ხშირად, გაყოფილების, კანონმორჩილების ჩარჩოებიდან გასვლის და სისტემისგან ამაზე თვალის დახუჭვის საწინდარი ხდება. გარდა იმისა, რომ კანონის დამცველები ხუჭავენ თვალს კანონდარღვევაზე, რომელსაც, როგორც ჩანს, ერთჯერადი ხასიათი სულაც არ აქვს და რომელსაც სიცოცხლისთვის საშიში ზიანის მოტანა შეუძლია, ამავე ციტატაში, ასე ვთქვათ, მედლის მეორე მხარეც არის ნაჩვენები, ანუ, ერთის მხრივ კანონის ფუჭად არსებობა და მეორეს მხრივ, „ქუჩის კანონებით“ ცხოვრება – „კიროვის ბაღის ბიჭების ბლავილი“ სწორედ ამაზე მიუთითებს. ამდენად, ჩინოვნიკი რომელიც საფუძვლად უდევს პერსონაჟს, საკმაოდ გამჭრიახი დიპლომატია და სიტყვიერად მაინც სამართლიანობის მხარეს იკავებს. მინიშნებად რა თქმა უნდა, ვერ გამოდგება სახელი – გიორგი, აქ ბუნებრივად უნდა ვიგულისხმოთ, რომ მწერალმა, უბრალოდ, ქართულ რეალობაში ყველაზე გავრცელებული სახელი შეარჩია, თუმცა, არ უნდა გამოვრიცხოთ, უნებლიე მწერლური ინტუიციისა თუ წინასწარმეტყველური გამოვლინების დაშვებაც, რაც არაერთგზის დადასტურებულა კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებებში.

ავარიის შედეგად საიქიოში მოხვედრილი მთავარი გმირი (ავტორის ალტერ ეგო), რამდენიმე, მისთვის საინტერესო, საკითხს განიხილავს ღმერთთან საუბრისას. პირველი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გახლავთ მწერლისა და „ღმერთის“ საერთო ინტერესის ობიექტი – ფეხბურთი, სწორედ ფეხბურთისა და ფეხბურთელების განხილვას ეთმობა პირველი საუბრის შინაარსი. თუმცა ჩვენი მოსაზრებით, ამ შემთხვევაშიც, ფეხბურთის მაგალითზე, ზოგადად არის მიმოხილული და გაანალიზებული საბჭოთა სისტემის პირობებში სპორტულ საზოგადოებაში არსებულ ნაკლოვანებათა დეტალები. ამდენად კი, გამოდის რომ, განათლება, მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება და ამჯერად სპორტიც, ანუ, პრაქტიკულად, ყველა სფერო მოუცავს იუმორისტულ მოთხრობათა ციკლში წარმოდგენილ სატირას, ეს კი ძალზე მნიშვნელოვანს და საჭიროს ხდის ამ მოთხრობათა ერთობლივ, კომპლექსურ ანალიზს.

ხანგრძლივი საუბრის შემდეგ, ჯვებზე დუმბავა თხოვნით მიმართავს ღმერთს, იქნებ როგორმე დაეხმაროს და პირველი ადგილი ააღებინოს „დინამოს“ ბიჭებს, რაც ე. წ. „ჩაწყობის“ ინსტიტუტის არსებობაზე მიუთითებს, სისტემა აკონტროლებს ყველაფერს და ყველაფერი „ზემოთ“ წყდება, ხოლო ფეხბურთი და სპორტი რომ მაკეტური სადემონსტრაციო საშუალებაა, ამის დასასაბუთებლად აღარ შეგჩერდებით, რადგან ზუსტად ანალოგიურ პრობლემებს სხვა სფეროშიც გვიჩვენებენ ეს იუმორისტული მოთხრობები.

პირველი ორი გასაუბრებისგან განსხვავებით, მესამე გასაუბრებაში ფეხბურთისგან სრულიად განსხვავებულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მსჯელობა „უფალსა“ და მწერალს შორის. მათი საუბრის საგანი, ამ შემთხვევაში, მწერალთა მეექვსე ყრილობაზე დასწრება და იქ წარმოსათქმელი სიტყვის განხილვა გახლავთ. ფეხბურთიდან მწერლობის პრობლემებზე გადასვლა კიდევ უფრო ნათელს ხდის და ამყარებს ჩვენს ხედვას, რომ მწერლის მიზანი, პრობლემების მოცულობითი, მასშტაბური გამომავარაგებაა და არა რომელიმე ერთი სფეროს გაშარყება.

მოთხრობაში „მესამე, გაუთვალისწინებელი, მაგრამ გულახდილი საუბარი ღმერთთან“, მწერალი რჩევა-დარიგების მისაღებად არის მისული „ღმერთთან“, მას სურს მწერალთა ყრილობაზე გამოსასვლელი სიტყვის მომზადებაში დახმარება, რათა დამსწრე საზოგადოებაზე შთაბეჭდილება მოეხდინოს, როგორც „ღმერთივით მოსაუბრე მწერალმა“. აქ კი განსაკუთრებით ყურადსაღებია სიუჟეტის იმდაგვარი განვითარება, რომ ღმერთი წინააღმდეგი არ არის მწერალს დაეხმაროს, მაგრამ საქმე მწერლის გამბედაობას ეხება, რამდენად შეძლებს ისეთ თემაზე საუბარს, რომელიც გამბედაობას მოითხოვს და სახიფათოა მოსაუბრისთვის. რა თქმა უნდა, სრულიად აშკარაა სოციალისტური რეალობისთვის მკვეთრად დამახასიათებელი მანკიერი ტრადიცია, რომ თუ მოსაზრება ან საჯარო გამოსვლის ტექსტი შეთანხმებული, ან შესაბამისობაში არ იყო კონკრეტულ

კონიუნქტურასთან, შესაძლოა ერთ გამოსვლას ადამიანის მომავალი თავდაყირა დაეყენებინა, რაც საკმაოდ ცნობილი მოვლენა გახლდათ, ამიტომ ჯვებე დუმბავა განიხილავს მრავალ საჭირობო საკითხს და უკვე დასახელებულ საყოველთაო კონტროლისა და შიშის დანერგვასთან ერთად, ეს საკითხებია – პატრონის გარეშე დარჩენილი ახალგაზრდობა, ფსევდომწერალთა დაუმსახურებელი დაფასება თუ ღირსეულ მწერალთა დაუფასებლობის პრობლემა, საზღვარგარეთ გასვლაზე დადგენილი კონტროლი, რეალობის ილუზორული ალტერნატივის გამუდმებული ქმნადობა და ა. შ. ამასთანავე, ჩვენი აზრით, პერსონაჟად ღმერთის შემოყვანა ძალზედ გონივრულ მხატვრულ ფანდს წარმოადგენს, ცენზურის ყურადღების სხვა მიმართულებით კონცენტრაციის თვალსაზრისით. კომუნისტური საზოგადოება, პირველ ყოვლისა, უფლის ქილიკს, უფალზე სიტყვის შეხედვას დაინახავდა მოთხრობაში, რაც ჭკვიანური თვალის ახვევაა ცენზურისათვის, ვინაიდან, სინამდვილეში, სწორედ პერსონაჟი ღმერთის საშუალებით ხდება მხილებული მრავალი სისტემური ნაკლოვანება.

როგორც აღვნიშნეთ, რიგი საკითხების ამდაგვარი გაშარჟებით, რეალურად, ავტორმა ღიად გაილაშქრა საბჭოთა სისტემისა და პარტიული ნომენკლატურის წინააღმდეგ, ამხილა გამეფებული სამოხელეო დანაშაულებები თუ წესად ქცეული მანკიერებანი. განხილულ ფელენტონებში აშკარად იკვეთება, რომ ავტორმა გააკრიტიკა ღირებულებას მოკლებული, პოლიტიკურ კონიუნქტურაში ჩარჩენილი და სასათბურე პირობებს დამონებული მწერლობა მისი პოლიტიკური შემოქმედებით, წარმოადგინა იმ პერიოდის მეცნიერებასა და ლიტერატურაში არსებული ვითარება, რომელიც, როგორც ჩანს, არცთუ იშვიათად წარმოადგენდა სისტემის მსხვერპლსაც და მის იარაღსაც ერთდროულად.

დასკვნები. ამრიგად, ამ კონკრეტულ ნარკვევში განვიხილეთ იუმორისტული ციკლის მოთხრობები და მათი დაფარული პათოსი. იქიდან გამომდინარე, რომ მწერლის შემოქმედების უმთავრესი ნიშა, სწორედ ხალასი იუმორია და იუმორმა ზოგადად, დიდწილად განაპირობა მისი შემოქმედების წარმატება, ვფიქრობთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იუმორისტული ციკლის შემოქმედების ცალკე განხილვაც.

შევცადეთ განსხვავებულად წარმოგვეჩინა ჩვენი კვლევითვის საინტერესო მოთხრობები. კვლევა მიზნად ისახავდა მკითხველისთვის ხელი შეეწყო ნაშრომში განხილული მოთხრობების ახლებურად წაკითხვაში, ჩვენ გვსურდა ისეთ საკითხებზე გაგვემახვილებინა ყურადღება, რომლებიც, აქამდე ნაკლებად იყო არა მხოლოდ შესწავლისა და განხილვის, არამედ სამეცნიერო ყურადღების საგანიც. გვსურდა გვეჩვენებინა, რომ იუმორი ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში, ამ ტიპის მოთხრობებშიც კი, მხოლოდ გართობისა და სახალისო განწყობის შექმნის მისიით არასოდეს შემოფარგლულა, რამდენადაც მას ბევრად დიდი ფუნქცია დააკისრა თავად ავტორმა, იუმორის საშუალებით ამხილა რა საბჭოთა ეპოქისა და საზოგადოების მნიშვნელოვანი მანკიერებანი. მწერალმა გააკრიტიკა კომუნისტური წყობის მრავალი ინსტიტუტი და მათ ირგვლივ განვითარებული მოვლენები, ერთი შეხედვით ლაღი და უწყინარი იუმორით სააშკარაოზე გამოიტანა და ნათელი მოჰფინა საბჭოთა ყოფის მრავალ უარყოფით ასპექტს. კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ყოველგვარი არაპროფესიონალიზმი და პარტიულ ინტერესებზე მდგარი საზოგადოება. სასაცილოდ და შესაბამისად სამარცხვინოდ აღსაქმელი გახდა დამკვიდრებულ სამოხელეო დანაშაულებებში ჩართულ ადამიანთა სახე, ასევე, ღირებულებას მოკლებული, პოლიტიკურ კონიუნქტურაში ჩარჩენილი ავტორები და მათი პოლიტიკური შემოქმედება.

გასათვალისწინებელია, რომ ამ ყველაფრის დაწერა თანამედროვეობის კონტექსტიდან დიდ გამბედაობას და დიდ ნიჭიერებას საჭიროებდა, ეს კარგად ესმის ავტორს, ზუსტად აქვს გააზრებული და ამიტომ, მაქსიმალურად განაზავებს სისტემის მიმართ სარკაზმსა და კრიტიკულ შენიშვნებს სხვა ტიპის იუმორში. მოთხრობაში „მესამე,

გაუთვალისწინებელი, მაგრამ გულახდილი საუბარი ღმერთთან“, ასეთ დიალოგს მართავს მწერალი: „ – სალაპარაკოს მეტი რაა, დალოცვილო, მშიშარა ხომ არ ხარ?

– კი ვარ ცოტა მშიშარა, ღმერთო, – გამოვუტყედი უფალს.

– ცოტა ყველა ვართ, შე კაცო, მაგრამ უნდა გავბედოთ, – გამომიტყდა ისიც“. (დუმბაძე, 2013: 56) - მწერალმაც გაბედა და ამ გაბედულებათა გამოვლინება მისსავე ნაწარმოებებშია ამოსაკითხი. საინტერესოა ამ კონტექსტში ამავე დიალოგის გაგრძელება: „მაგის თქმის თუ გეშინია, მაშინ ის მაინც შეახსენე, სულ ერთი და იგივე ხალხი რომ დადის საზღვარგარეთ და წერენ შემდეგ შთაბეჭდილებებს, რამდენ ლიტრ რძეს იწველის ინდონეზიაში ძროხა და როგორ გაახსენათ აფრიკის სპილომ თბილისის ზოოპარკი, გაურიონ ხანდახან უცხოეთში წამსვლელთა სიაში სხვებიც“. (დუმბაძე, 2013: 56) აქ გარდა იმისა, რომ შიშით გამსჭვალულ საზოგადოებრივ ყოფას კვლავ დავლანდავთ და ვიგულისხმებთ მიზეზს, რის გამოც ასე შეფარვით არის მკითხველამდე სათქმელის მოტანა საჭირო, ამასთანავე, კიდევ ერთხელ დავინახავთ იმ ჩაკეტილ სივრცესა და სამყაროსგან მოწყვეტილობის პრობლემას, რომლის გამოც საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ ადამიანებს უჭირთ გარესამყაროსთან ინტეგრაცია და საბჭოთა სახელმწიფოს მიღმა სამყაროს აღიქვამენ იმდენად, რამდენადაც „სულ ერთი და იგივე ხალხი“ მიაწვდით ინფორმაციას. ამ ორი პრობლემის ერთ კონტექსტში გააზრებაც არ უნდა იყოს შემთხვევითი, მეოცე საუკუნეში ადამიანისთვის სივრცისა და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა და ამის გამო მისი შიშში ცხოვრების ორგანიზება, სწორედ ყველაზე ფუნდამენტური და დიდი მხილებაა კომუნისტური სახელმწიფოსი როგორც რეჟიმისა.

გამოყენებული ლიტერატურა

- ასათიანი, გ. (1960). მზიური ნიჭი. წერილების კრებული: *მზიანი გულის მწერალი*. თბილისი.
- ბაქრაძე, ა. (1990). *მწერლობის მოთვინიერება*. თბილისი.
- დუმბაძე, ნ. (1990). *მოთხრობები*. წიგნი მესამე. თბილისი.
- დუმბაძე, ნ. (1992). *თხზულებანი ოთხ წიგნად*. წიგნი IV. თბილისი.
- დუმბაძე, ნ. (2013). *იუმორისტული მოთხრობები*. თბილისი.
- თამრაზიანი, ჰ. (1986). ნატკენი გულისა და მზენათელი სიზმრების წიგნი. *ნოდარ დუმბაძე, მზიანი გულის მწერალი (წერილები, გამოსათხოვარი სიტყვები, მოგონებები, ლექსები ნოდარ დუმბაძე)*. გვ. 69-70.
- ქართული ლექსიკონი*. (თ.გ.). კიბერნეტიკა. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://www.ganmarteba.ge/word/კიბერნეტიკა>

REFERENCES

- asatiani, g. (1960). mziuri nich'i [The Sunny Talent]. Collections of Letters: *mziani gulis mts'erali [The Writer of Sunny Heart]*. Tbilisi.
- bakradze, a. (1990). *mts'erlobis motviniereba [The Taming of Writing]*. Tbilisi.
- dumbadze, n. (1990). *motkhrobedi [Stories]*. Book three. Tbilisi.
- dumbadze, n. (1992). *tkhzulebani otkh ts'ignad [Stories in Four Books]*. Book IV. Tbilisi.
- dumbadze, n. (2013). *iumorist'uli motkhrobedi [Humorous Stories]*. Tbilisi.
- tamraziani, h. (1986). nat'k'eni gulisa da mzenateli sizmrebis ts'igni [The Book of Broken Heart and Sunny Dreams]. *nodar dumbadze, mziani gulis mts'erali (ts'erilebi, gamosatkhovari*

sit'qvebi, mogonebebi, leksebi nodar dumbadze) [Nodar Dumbadze, The Writer of Sunny Heart (Letters, Farewell Words, Memories, Poems Nodar Dumbadze)]. pp. 69-70.
kartuli leksik'oni [Georgian Dictionary]. (n.d.). k'ibernet'ik'a [Cybernetics]. Retrieved from
<https://www.ganmarteba.ge/word/კიბერნეტიკა>